ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5130070

ნომერი: AR1760330

თარიღი : 13.07.2020

გაცემის თარიღი : 05.10.2020

გაცნობის თარიღი : 01.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა უგულავა პ/ნ 62001014950
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 84

ორგანიზაცია:

- სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური კოდი: 205270053

აღსრულების საკითხი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2020 წლის 18 ივნისის №582 ბრძანების აღსრულების ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი დასტური ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე, შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.012.005), შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების, კერძოდ, არსებული ფანჯრის ღიობების სიმაღლეში გაზრდისა და არსებული ნალესის ახლით შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე.
სამსახურის 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი დასტური ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე, შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.012.005), შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების, კერძოდ, ფანჯრის ღიობების ნაცვლად ორი კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე.
ამჟამად მიმდინარეობს შპს „სდასუ“-ს სარჩელის (საქმე №3/447-19) განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) შეჩერებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 08 აპრილის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) არ დაკმაყოფილდა შპს „10 ლიდო“-ს წარმომადგენლების შუამდგომლობა (განცხადება) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებებით შეთანხმებული სამუშაოები დასრულებული იყო და შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტები - აღსრულებული. შესაბამისად, სამსამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინება.
ამასთან აღსანიშნავია, რომ 01.14.14.012.005 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული აქტიური მონაცემების მიხედვით (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) დგინდება, რომ შპს „ნიუ ლოჯისტიკს“-ის საკუთრებას წარმოადგენს შენობა-ნაგებობა N3-ში, ფართი N1, I სართულზე - 301.52 კვ.მ-დან 225 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერით ასევე დგინდება, რომ 225 კვ.მ-იდან 94 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს შპს „სუფთა სახლს“. განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟით და მასზე მონიშნული საპროექტო ტერიტორიის არეალით დგინდება, რომ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოები, (შპს „ნიუ ლოჯისტიკს“-ის კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობა) ემსახურება იმ ფართის ფუნქციონირებას, რომლის ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტოსურათები, ფოტომონტაჟი) უტყუარად დგინდება, რომ შპს „სუფთა სახლის“ მიერ კომერციული მიზნების მისაღწევად ხორციელდება შპს „ნიუ ლოჯისტიკს“-ის კუთვნილი ფართის იმ ფასადის გამოყენება, რომელზეც სამშენებლო სამუშაოების წარმოება შეჩერებულია სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს წარმოდგენილი განცხადება შპს „ნიუ ლოჯისტიკს“-ის კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.